ივნისი 2016

NEWSLETTER

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IDFI ფინანსურად სრულად გამჭვირვალე ორგანიზაციად დასახელდა

IDFI ექვს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთან მსოფლიოს მასშტაბით ფინანსურად ყველაზე გამჭვირვალე ანალიტიკურ ორგანიზაციებს შორის დასახელდა.

შეფასებითი კვლევის ავტორია ორგანიზაცია Transparify, რომელიც მესამე წელია აქვეყნებს შედეგების შემცველ ანგარიშებს.

შეფასებული ორგანიზაციების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. 2016 წლის ანგარიშში 47 ქვეყნის 200 ანალიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციაა (think tank) შესული.

ვიზა ლიბერალიზაცია - არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ?

IDFI აგრძელებს სტატიების სერიას საქართველო - ევროკავშირის შორის ვიზა ლიბერალიზაციის თემაზე. ამჯერად სტატია მომოიხილავს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის დასრულების ვადების შესაძლო სცენარებს. სტატიაში ასევე განხილულია თუ რამდენად შესაძლებელი და რეალურია საქართველომ უვიზო რეჟიმი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე მიიღოს.

საქართველო ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე

მოცემული სტატია წარმოადგენს, მსოფლიოს პირველი ანტიკორუფციული სამიტის და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების მიმოხილვას. სამიტს რომელიც 12 მაისს, ქალაქ ლონდონში გაიმართა, საქართველოს მთავრობის მხრიდან პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდნენ.

ვიზალიბერალიზაციის პროცესი და მისი შეფერხების მიზეზები

IDFI აქვეყნებს სტატიას ვიზალიბერალიზაციის თემაზე, რომლის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის პროცედურული მიმოხილვა და ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის დასრულების შესაძლო შეფერხების მიზეზების ანალიზი. სტატიაში განხილულია ვიზა ლიბერალიზაციის პროცესში ჩართული ევროკავშირის ინსტიტუტების თავისებურებები, მათი როლი და გავლენა პროცესის წარმატებით დასრულებაზე. სტატიაში ასევე გაანალიზებულია ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის დასრულების შემაფერხებელი ოფიციალური და სავარაუდო არაოფიციალური მიზეზები.

კორცხელის ინცინდენტის გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს

არასამთავრობო ორგანიზაციები კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ. განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები არაეფექტურად აფასებენ კორცხელის ინცინდენტის გამოძიების პროცესს და მოუწოდებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარ პროკურატურას, მიიღონ ადეკვატური და დროული ზომები იმისთვის, რომ დადგეს ინცინდენტში მონაწილე ყველა პირის, ძალადობრივი აქტის ორგანიზატორებისა და განმახორციელებლების პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველო 2016 წლის მსოფლიოს განვითარების ანგარიშში

2016 წლის 17 მაისს მსოფლიო ბანკმა მსოფლიოს განვითარების ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით მიღებული სარგებელის გავრცელებაზე და ამ ტექნოლოგიების როლზე ეკონომიკის განვითარების პროცესში. IDFI გთავაზობთ ანგარიშის იმ ნაწილების დეტალურ მიმოხილვას, სადაც საქართველოს სხვადასხვა მაჩვენებელია განხილული.

სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ფაკულტეტების ეფექტიანობა

სტატიაში განხილულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის გადაწყვეტილება ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დაფინანსების შესახებ. დღეს არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სტატიის ავტორი აფასებს თუ რამდენად მოხერხდა პროექტის მიზნის მიღწევა ე.წ. „საჭირო“ პროგრამებზე უკეთესი და უფრო მეტი კონტიგენტის მოზიდვის მიმართულებით.

უახლესი ცვლილებები ამერიკის შეერთებული შტატების ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტში

აშშ-ს ინფორმაციის თავისუფლების აქტი წარმოადგენს ფედერალურ კანონს, რომელიც ადგენს საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტების საჯაროობის სტანდარტებს, განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ცნებას და არეგულირებს ინფორმაციის გასაჯაროების გამონაკლისებს. IDFI-ს სტატია მიმოიხილავს ინფორმაციის თავისუფლების აქტში შეტანილ უახლეს ცვლილებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები

ბოლო ორი წელია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად შემცირდა. განსაკუთრებით ეს ეხება ექსპორტს. მოცემულ სტატიაში საუბარია ექსპორტის მაჩვენებლების, ასევე, ბოლო წლების დინამიკის და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ. ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებები განიხილება პრაქტიკაში ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით სხვადასხვა ქვეყანაში და რა ინსტრუმენტებს მიმართავს საქართველო დღესდღეობით.

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის მაესტროს თანამშრომლების შრომითი ურთიერთობის შეჩერებას ეხმაურება

კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვს ტელეკომპანია ,,მაესტროს“ 32 თანამშრომლისათვის შრომითი ხელშეკრულების შეჩერების საკითხის თაობაზე განცხადებას ავრცელებს.

კოალიცია გვამცნობს, რომ 2016 წლის 02 ივნისს, ტელეკომპანია ,,მაესტროს“ დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე შრომითი ურთიერთობა შეუჩერდათ 4 თანამშრომელს, რომლის საფუძვლად მათი 31 მაისს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“-ის გადაცემა ,,არჩევანში“ მონაწილეობა სახელდება.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ღია წერილი ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს და ნატოს გენერალურ მდივანს

“.... ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოს ახლა სჭირდება, რომ ვარშავის სამიტზე გამოიკვეთოს ნატოში გაწევრიანების მკაფიო გზა. ეს დაიცავს ევროატლანტიკურ ინტერესებს და დაეხმარება იმ პრინციპების გაძლიერებას, რომლებსაც ეფუძნება ალიანსი. ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ ვარშავაში მიღებული გადაწყვეტილებები დაეხმარება საქართველოს რუსეთის აგრესიის შემაკავებელი კონკრეტული ზომების გასატარებლად და გააძლიერებს ქვეყნის უსაფრთხოებას....”

კოალიცია საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონპროექტებზე ვეტოს დადებას ეხმაურება

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ეხმიანება პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მოტივირებული შენიშვნებით კანონპროექტის საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის დაბრუნებას. განცხადებაში კოალიციის წევრები ხაზგასმით აღვნიშნავენ, რომ კანონპროექტების ავტორებისა და პარლამენტის წევრთა ნაწილის ნაჩქარევი და მოუმზადებელი გადაწყვეტილებების გამო, არსებითი საფრთხის წინაშე დგას კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტიანი ფუნქციონირება ქვეყანაში, რაც ასევე დაადასტურა ვენეციის კომისიის წინასწარმა მოსაზრებებმა.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ა. გრიბოედოვის ქუჩა №3, 0108, თბილისი, საქართველო + 995 322 92 15 14
info@idfi.ge www.idfi.ge